საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის [illegible]

F264 N 568

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიბუნა

ხუთშაბათი, სექტემბრის 1

1921 წ.

ფასი 500 მანეთი

ყოველდღიური პოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. [illegible].
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხ. ამხ. ეფრემ ჩიხუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო [illegible].
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია აღძრან ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე. საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

## ტრიბუნიდან

8.

**შეთანხმების საფუძველი და კომუნისტების სამშობლო.**

მრეწველთ, მეურნეთ, ვაჭრებს [illegible] ეკონომიური დათმობა, საზოგადოებრივ ჯგუფებს, მიმდინარეობას—პოლიტიკური დათმობა. პირველს მეორე უნდა მოჰყვეს, ორივე ერთი მთავარი მიზნისათვის უნდა მოხდეს. ესე იგი, სამოქალაქო ომის და უნდობლობის პერიოდი, უნდა შეიცვალოს ერთგვარმა „ბურგფრიდენმა“, სამოქალაქო მშვიდობამ, ბრძოლის ადგილი ორგანიულმა მუშაობამ უნდა დაიჭიროს.

ეკონომიური დათმობა მონათესავე ჯგუფებთან პოლიტიკური დათმობით უნდა დამთავრდეს. პირველი რუსეთმა დაიწყო, საქართველომ მეორეთი უნდა გააგრძელოს და ამგვარად სრულჰყოს ისტორიული პროცესი.

რაა ის მთავარი საფუძველი, რომელიც შეათანხმებს საქართველოში არსებულ მემარცხენე ჯგუფებს და რაიც მეტად დიდს და დადებითს ეფექტს მოახდენს საზოგადოდ ესრედ წოდებულ „საზოგადოებაშიაც“. ეს არის საზრიანად გადაჭრა ნაციონალური საკითხის, ნაციონალურ სახელმწიფოს პრობლემა.

ერთი მცირე შენიშვნა. ჩვენში ნიჰილისტური დამოკიდებულებაა ამ „საზოგადოებრივ აზროვნებისადმი“. ეს დიდი შეცდომაა. საქართ. სახ. აზროვნების თავის ჰეგემონიის ქვეშ დაყენება, მისი თანდათანობით დაკმაყოფილება, რაიცა უეჭველად გაადიდებს სამეურნეო—შემოქმედებას, მეტ ხალისს, მეტ ენერგიას მისცემს მუშაობას, მეტი ერთობა განმტკიცდება საზოგადოების მეტი წრისა მთავრობისადმი. ნაციონალური პრობლემა ამ ძალთათვის დიდი მოვლენაა, მისი გადაჭრა დაჩაგრული ერის სასარგებლოდ დიდი რევოლუციური აქტია, ყველასი მომხიბვლელი. მასვე დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე მთავრობა და მთელი რევოლუცია იმდენად ძლიერია, რამდენადაც მას ემორჩილება არა ერთი კლასი, არამედ საზოგადოების სხვა და სხვა წრეც, თუ ამ მორჩილებას ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. რასაკვირველია; ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობას და რევოლუციას არ გააჩნდეს ის ლეიტმოტივი, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტიული კლასის ინტერესებით.

შესაძლებელია თუ არა კომუნისტების მიერ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც დადებით ეფექტს გამოიწვევს ხალხის ფართო მასაში, ესე იგი შეამზადებს თუ არა იგი მონათესავე პოლიტპარტიების შეთანხმების ნიადაგს—ნაციონალურ პრობლემას? მოკლედ, როგორ უყურებენ კომუნისტები სამშობლოს საკითხს, ნაციონალ სახელმწიფოს იდეას?

კომუნისტებმა მკაფიოდ წამოაყენეს ერების თვით-გამორკვევის იდეა, მაგრამ, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, ამ იდეის შინაარსი, არა მარტო ჩვენი ინტერპრეტაციით, არამედ თვით კომუნისტების ლიდერთა ინტერპრეტაციით ძალიან ბევრს არ გვაძლევს. ჯერ კიდევ დიდი დრო და ბრძოლაა საჭირო, რომ ნაციონალური საკითხი ისე იქმნეს გაგებული, როგორც ეს სისწორით შეთვისებული აქვთ კომუნიზმის ლიდერებს.

მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ „პრავდა გრუზიი“-ს ერთი თანამშრომელი, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ ბუხარინს ალაპარაკებდა და „კომუნიზმის ანბანი“-დან მოჰყავდა ისეთი ადგილები, რომელიც ნაციონალურ პრობლემას ყოველ საფუძველს აცლიდა. ვისაც მართლა შეუკითხავს და გაუგია ბუხარინის შრომა, ის მყისვე დარწმუნდება, რომ აქ არის ბუხარინის აზრების არა კვალიფიკაცია, არამედ პროფანაცია.

ერთი საყურადღებო მოვლენა მართლა არსებობს. თქვენ ყოველ კომუნისტში დაინახავთ ნაციონალურ პრინციპს ხან [illegible], ხან კი გათახსირებას. ერთი და იგივე ავტორი ხან აქებს და ადიდებს მას, ხან კი მიწასთან ასწორებს. გამოუცდელი ადამიანი კი, აქ იბნევა და ისე იქცევა, როგორც ეს „პრავდა გრუზიი“-ს ემართება.

რად ხდება ეს? იმიტომ ხომ არ ხდება, რომ კომუნისტებს საზოგადოდ არ ესმით ნაციონალი პრობლემა? *).

კომუნისტები ნაციონალურ მომენტს ნაციონალიზმიდან არჩევენ. განა ჩვენ, სოც.-ფედ., მრავალჯერ არ დაგვიგმია ნაციონალიზმი? რა თქმა უნდა ნაციონალიზმიც არის და ნაციონალიზმიც. ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ან მის იდეოლოგიას—იმპერიალიზმს, ჩვენ ვებრძვით ჩაგრული ერის სოციალისტური ნაციონალიზმის სასარგებლოთ. როგორც ფედერალიზმი არის სხვა და სხვა გვარი, ისევე სხვა და სხვა გვარია ნაციონალიზმიც. მაგრამ პირდაპირ შეუძლებელია სადი ნაციონალიზმი გადაჰყვეს ყალბ ნაციონალიზმს და უკანასკნელის უარყოფით უკუვაგდოთ პირველიც. ეს კი [illegible] ტონის მიმცემ ლიდერებისათვის ეს საკითხი უფრო გარკვეულია, მათ იციან იმპერიული ნაციონალიზმი, მაგრამ ნაციონალ სახელმწიფოების იდეას არა თუ უარჰყოფენ, ფორმალურადაც ქმნიან ნაციონალ ერთეულებს.

სამშობლოსადმი და ნაც. სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებისათვის, მეტად საყურადღებოა გრიგი ზინოვიევის თხზულება „ომი და სოციალიზმის კრიზისი“. ზინოვიევი უმთავრესი ხელმძღვანელია ნაციონალ სახელმწიფოებისა კომინტერნის სახით, ხოლო მისი ხსენებული თხზულება ლენინის თანამშრომლობით არის გამოცემული. ესე იგი თეორიულად და პრაქტიკულად იგი შრომა, ჩვენ შეგვიძლიან კომუნისტების ესენციად ჩავთვალოთ.

ამ დიდ ტომიან თხზულებაში თქვენ ნახავთ ურიცხვ ადგილს ნაციონალიზმის გასაწბილებლად, წაიკითხავს ამ ადგილებს რომელიმე გამოუცდელი თანამშრომელი „პრ. გრუზია“-ს და შექმნის თვით საკუთარი თავისათვის სრულიად ყალბ და მავნე შეხედულებას ნაც. პრობლემაზე. მეტად დიდი სიფრთხილეა ამ მხრივ საჭირო.

ნამდვილად კი ზინოვიევის შრომა სავსებით გვიმტკიცებს ჩვენ იმ ახალ აზრს ნაც. საკითხზე, რომელიც შემუშავდა ბოლო დროს კომუნისტებში.

ავიღოთ ზინოვიევი დომელა ნიუვენჰუისის და ჰერვეიზმის შესახებ. ზინოვიევი სწერს: „აბსტრაქტული და უსიცოცხლო იყო მისი (დომელას) საბუთები, როცა იგი ამტკიცებდა, თითქოს მუშებისათვის სულ ერთი იყოს საფრანგეთი გერმანეთს ეკნება, თუ გერმანეთი საფრანგეთს“ (დასახელებული თხზ. გვ. 361). აქ ნაც. სახელმწიფოს იდეა მუშებისათვის სრულიად სისწორით არის გადმოცემული. ამას წინად, როცა „სოც.-ფედერ.“ ნომრებში ჩვენ ვამტკიცებდით ბახუტაშვილი გვირჩევნია ბახუტოვს თქო — [illegible] — ფედერალისტებმა შოვინიზმი გამოიჩინესო. ასე მოიქცა მაშინ „Пр. Грузия“. მაგრამ განა ეს ის არ არის, რასაც ზინოვიევი ამბობს? ზინოვიევს, როგორც ებრაელს და სოციალისტს, რუსს გერმანიას რუსეთი ურჩევნია, ჩვენ, როგორც ქართველს საქართველო ყველას გვირჩევნია, იმიტომ, რომ საქართველო ჩვენთვის მარტო კლასობრივი ბრძოლის ასპარეზი კი არ არის; იგი ეროვნული თავისუფლების და შემოქმედების ასპარეზიც არის.

ციურიხის კონგრესზე თუ ნიუვენჰუისი ქადაგებდა კოსმოპოლიტიზმს, შტუტგარტის კონგრესზე კოსმოპოლიტიზმის მოსარჩლედ გუსტავ ჰერვე გამოვიდა. მოუსმინეთ ზინოვიევს, როგორ ამათრახებს იგი ჰერვეს კოსმოპოლიტიზმს: „ჰერვე სცრუობდა (гов. вздор.) როდესაც დებულებიდან, რომ ყოველი სამშობლო კაპიტალისტების მეწველ ძროხაა—გამოჰყავდა დასკვნა: გერმანეთის მონარქია თუ საფრანგეთის რესპუბლიკა სოციალისტებისათვის ყველ ერთია. მაშინ—განაგრძობს ზინოვიევი—როცა ჰერვე რეზოლიუციაში აცხადებს, რომ პროლეტარიატისათვის სულერთია, რომელ ბურჟუაზიის ბატონობის ქვეშ არის მისი ქვეყანა—ის იცავდა აშკარა სისულელეს (явную нелепость). პროლეტარიატისათვის სრულიად არ არის სულერთი, შეუძლებელია თუ არა მას თავისუფლად ისარგებლოს მშობლიური ენა, ან კლასობრივ ჩაგვრას კიდევ ეროვნული ჩაგვრა [illegible]“. (იხ. გვ 367)

აქ ზინოვიევი ლენინი გამოთქვამენ სრულიად სადა და ჭეშმარიტ სოც. ნაციონალურ დებულებას. ამ დებულებებს ჩვენ ვიცავთ დღეს საქართველოში.

ვიხილეთ ეს საკითხი მეტად საყურადღებოა და ჩვენი ტემისათვის ფრიად საჭიროა, უნდა მივაქციოთ ამ საკითხს მეტი ყურადღება. ყველას მოეხსენება ერთი ძველი დებულება მარქს-ენგელსის „კომ. მანიფესტიდან“: „მუშებს სამშობლო არა აქვს“. ეს დებულება ევროპის მარქსისტებმა დიდი ხანია განმარტეს და უარყვეს. ზინოვიევი ამის შესახებ ამბობს: „ჩვენ არ უარვყოფთ საზოგადოდ სამშობლოს დაცვას. ჩვენ უარვყოფთ ეგრედ წოდებულ „სამშობლოს დაცვას“ იმპერიალისტურ ომებში“ (გვ. 388). მაგრამ ზინოვიევი შეგნებულად სდგას სადი, სოციალისტური ნაციონალიზმის აზრზე და განაგრძობს: „ეს იმას კიდევ არ ნიშნავს თითქოს ჩვენ ყოველს შემთხვევაში და სამუდამოთ უარვყოფდეთ სამშობლოს დაცვას თვით იმპერიალისტურ ეპოქაშიაც“. როცა ერი იბრძვის თავისუფლებისათვის. „ზინოვიევს ეს მიაჩნია სამართლიან ომად. „ომი ჩინეთის, ინდოეთის და სხ. ქვეყნების, რომელნიც იმპერიალიზმის ექსპლოატაციის ობიექტია და იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ“— ეს ომი არის სამართლიანი ომი (გვ. 389).

ეგრედ წოდებულ „საზოგადოებაში“ დიდ აღელვებას იწვევდა და ეხლაც იწვევს ის გარემოება, რომ კომუნისტებმა თავიანთ მიზნებისათვის გამოიყენეს უცხო სახელმწიფოს (რუსეთის) ძალა. ბევრს ეს მიაჩნდათ კომუნისტების მხრივ ეროვნულ დამოუკიდებლობის სრულს უპატივცემლობად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამშვიდებული მსჯელობა აქაც საშუალებას მოგვცემს გამოვსძებნოთ ის საერთო ნიადაგი, რომელიც სოციალისტური და ნაციონალური საქმეებისათვის შეთანხმებას მოახერხებს მემარცხენე პარტიებში.

არც ისტორიულად, არც პრაქტიკულად ნაციონალურ საქმეებისათვის უცხო ძალებით სარგებლობა, ლევანდელს პერიოდებში დაგმობილი არ არის. ბალკანეთის ერები რუსის ხიშტებით არის განთავისუფლებული, იტალიის განთავისუფლებაში საფრანგეთს მიუძღვის დიდი ღვაწლი. სოციალისტებს არა ერთხელ სურდათ სამშობლოში უცხო ძალის შემოყვანა თუ ეს მათ საერთო მიზანს გააძლიერებდა.

მენშევიკების ლიდერი გ. პლეხანოვი, ციურიხის კონგრესზე ამბობდა: „როცა გერმანეთის ჯარი გადალახავს რუსეთის საზღვარს, ის მოევლინება ჩვენ განმათავისუფლებელ ძალად, როგორც კონვენტის დროის ფრანგები 100 წლის წინად, მოვიდნენ გერმანიაში მეფეების დასამარცხებლად და მოგვიტანენ თავისუფლება. რამდენადაც ჩვენი გერმანელი მეგობრები დაეცემიან რუსეთის ცარიზმს, იმდენად მეტად მადლიერი ვიქნებით. ყოჩაღ, ჩემო მეგობრებო, დაამსხვრიეთ იგი, მიათრიეთ ის (რუსეთის ცარიზმი) ბრალდებულის სავარძელთან, სცემეთ მას ყოველი საშუალებით“.

ასე ლაპარაკობდა მენშევიკების მეთაური—ეს რუსის მამულიშვილი, გერმანეთის ჯარის შემოჭრის შესახებ რუსეთში. როცა ეს ამბავი მოხდა არა სხვაგან, არამედ ჩვენში—და ისიც მენშევიკების ძალიან საზარალოდ—განა ვისმეს მოაგონდა პლეხანოვის დებულებანი? ჩვენ ყოველთვის ვიცოდით და ეხლაც ვიცით: თანამედროვე კაპიტ. საზოგადოებაში ყოველი პოლიტიკური ძალა, მიმართავს თავის მიზნებისათვის უცხო ძალას. ეს შეიძლება აღმაშფოთებელი იყოს, მეტად ცუდი, საშინელი, მაგრამ მილიონჯერ რომ დავგმოთ იგი ჩვენი ნებისყოფის გარეშე ამ საშუალებას ერთნაირად მიმართავს, თავის მიზნისათვის ყოველი ძალა. აქ ისტერიული ყვირილი მხოლოდ გულუბრყვილობის საქმეა, ჩვენ თავი უნდა გავართვათ ამ მოვლენებს.

თვითონ ზინოვიევი არ ეთანხმება პლეხანოვს ჯარების მოპატიჟებაში. ზინოვიევი მხარს უჭერს მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს ჯარების შეყვანას არა სოციალისტურ ქვეყანაში. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ზინოვიევის ფორმულა გაცილებით მისაღებია, ვიდრე პლეხანოვის აზრი.

ამგვარად უცხო ჯარების გამოყენების მომენტი, არ შეიძლება ჩაითვალოს ლევანდელს პერიოდში, ეროვნული მოღალატეობის უარყოფის დამახასიათებლად. ცნობილი და ერ. მოღვაწეებიც მიჩნეული ძალები ევროპაში, მიმართავდნენ ამ საშუალებას.

კომუნისტებმა საქართველოს ხელის უფლება ხელში ჩაიგდეს, მაგრამ უცხო ძალის გამოყენების პრინციპი მყისვე დაირღვევა, მოისპობა სადი ნაციონალური პოლიტიკა თუ, ამ მოვლენას მოჰყვა ეროვნული შემოქმედების მთავარი მომენტების ნეიტრალიზაცია.

თეორიულად კომუნისტებმა სწორედ გაიგეს სოციალისტური ნაციონალური პოლიტიკა. ჩვენ უნდა დავინახოთ, რამდენად სწორედ ატარებენ პრაქტიკაში. გაფართოებული და შემდეგ მცირე სარევიზიო ექსკურსიისა [illegible] პრაქტიკული ნაციონალი მოღვაწეობა, რომელიც დიდ კმაყოფილებას შეიტანს არა კომუნისტური მასაშიაც, დაუკავშირებს ხელისუფლებას მჭიდროთ ხალხს და პოლიტიკურ ჯგუფებში ნიადაგს მოუმზადებს შეთანხმებითი მუშაობისათვის.

თედო ღლონტი.

---

*) ის [illegible] არ ვაფასებთ აქ კომუნისტების შეხედულებას ნაც. პრობლემაზე.

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში წერილი „ქალთა საკითხის გარშემო“ გაშვებულია სადისკუსიოდ. შენიშვნა შეცდომით გამოტოვებულია.

ახალ ამბავში შეცდომით დასტამბულია „1 ჩეთვერი“ უნდა იყოს გირვანქის მეოთხედი.

## ახალი ამბები

— პატიმრები. 21 აგვისტოს № 1 და 2 გამასწორებელ სახლში ითვლებოდა სულ 1,180 პატიმარი.

— კომუნალურ განყოფილების კოლეგიის სხდომის დადგენილებით მთელი სასტუმროები იყოფება ორ ხარისხად. ერთ ხარისხზე ერიცხება ნაციონალიზაცია, [illegible] ნაწილი რჩება საბჭოთა სახლების გამგებლობაში, ნაწილი მიეცემა საბინაო განყოფილებას, ნაწილი მეპატრონეთ. საჭირო ხარჯებს სწევს კომუნალური მეურნეობა და ახდევინებს მათ, ვინც სცხოვრობს ნაციონალიზაციით ჩამორთმეულ სახლებში. იმავე კომუნალურ კოლეგიის დადგენილებით გახდა სუფლებულ უნდა იქნას ყველა სასტუმროები ცენტრში დაწესებულებებიდან და მცხოვრებიდან, მათ სამაგიეროდ მიეცემათ სათანადო ბინები.

— აბანო. კომუნალურ კოლეგიის დადგენილებით აბანოს სარგებლობისათვის დაწესებულია ერთეულ კაცზე 500 მან.

